საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-324

15/04/2019

ქ. თბილისი

„ქ. ქუთაისში შპს ,,გრინ პიკის“ პოლიეთილენის ნარჩენების (ნარჩენების აღდგენა) გადასამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის N2-609 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მიმდინარე წლის 4 აპრილს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „გრინ პიკის“ დირექტორმა და ითხოვა „ქ. ქუთაისში შპს ,,გრინ პიკის“ პოლიეთილენის ნარჩენების (ნარჩენების აღდგენა) გადასამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის N2-609 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

2018 წლის 27 ივლისის N2-609 ბრძანებით დამტკიცებული სკრინინგის გადაწყვეტილებით შპს „გრინ პიკის“ საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

კომპანიამ 2018 წელს ხელახლა მომართა სამინისტროს სკრინინგის განცხადებით. აღნიშნული განცხადების თანახმად, შპს „გრინ პიკმა“ შეცვალა საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა. კერძოდ, ძველი სკრინინგის განცხადებით, კომპანია გეგმავდა საწარმოს განთავსებას ინდუსტრიული ზონის N3 შენობაში (საკადასტრო კოდი 03.01.21.358), სადაც შპს „გრინ პიკის“ გარდა, მსგავსი საქმიანობის განხორციელებას (იმავე შენობაში) გეგმავდა შპს “ქლინ რი პროსესი“, რაც თავის მხრივ კუმულაციურ ეფექტს მოახდენდა გარემოზე. შესაბამისად, შპს „გრინ პიკმა“ კუმულაციური ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით მიიღო გადაწყვეტილება, საწარმო განეთავსებინა ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სხვა მხარეს (შენობა N15), რაც შპს „ქლინ რი პროსესის“ საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 400 მ-ით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და ანალიზის შემდეგ, 2019 წლის 15 იანვარს მინისტრის N2-34 ბრძანებით დამტკიცდა „ქ. ქუთაისში შპს ,,გრინ პიკის“ პოლიეთილენის ნარჩენების (ნარჩენების აღდგენა) გადასამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილება“, რომლის თანახმად დაგეგმილი საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ შპს „გრინ პიკი“ აღარ განახორციელებს დაგეგმილ საქმიანობას ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის N3 შენობაში, კომპანიამ

მომართა სამინისტროს „ქ. ქუთაისში შპს ,,გრინ პიკის“ პოლიეთილენის ნარჩენების (ნარჩენების აღდგენა) გადასამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის N2-609 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „გრინ პიკის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. ქუთაისში შპს ,,გრინ პიკის“ პოლიეთილენის ნარჩენების (ნარჩენების აღდგენა) გადასამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის N2-609 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს ,,გრინ პიკის“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,გრინ პიკის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი